

შპს „დენტექსი-95“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	352023	277170	272938
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	119128	96484	164862
მარაგები	24952	26054	24943
სხვა	24952	26054	24943
სხვა მოკლევადიანი აქტივები	18956	13907	36
ძირითადი საშუალებები	1137920	1248721	1275631
სულ აქტივები	1652979	1662336	1738410
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	37575	13490	11222
გრძელვადიანი ნასესხები თანხები	401629	513583	613520
სხვა ვალდებულებები	0	98	0
სულ ვალდებულებები	439204	527171	624742
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში - 'გაუნაწილებელი მოგება' / (დაგროვილი ზარალი))	2013	2013	2013
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1211762	1133152	1111655
სულ საკუთარი კაპიტალი	1213775	1135165	1113668
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1652979	1662336	1738410
სულ მოკლევადიანი აქტივები	515059	413615	462779
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	37575	13490	11222

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 25 სექტემბერს

ირინე გამცემლიძე

მთავარი ბუღალტერი



შპს „დენტექსი-95“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები	31.12.2024	31.12.2023
ნეტო ამონაგები	4142451	3860705
მომსახურების გაწევიდან	4142451	3860705
გაყიდვების თვითღირებულება	-1180352	-1182071
საერთო მოგება	2962099	2678634
სხვა საოპერაციო შემოსავალი	24639	8468
დასაქმებულთა ანაზღაურება	-2288175	-2155967
ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი	-135062	-136045
საპროცენტო ხარჯი	-55918	-68793
იჯარის ხარჯი	0	-1080
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-229694	-229089
სულ საოპერაციო ხარჯები	-2684210	-2582506
საოპერაციო მოგება	277889	96128
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-25051	-15006
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	252838	81122
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	252838	81122
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	252838	81122
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1135165	1113668
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-150826	-57000
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-23402	-2625
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1213775	1135165

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 25
სექტემბერს

ირინე გამცემლიძე

მთავარი ბუღალტერი



შპს „დენტექსი-95“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობა	31.12.2024	31.12.2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმ.	74853	4232
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდ	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	74853	4232
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	277170	272938
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	352023	277170

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 25 სექტემბერს

ირინე გამცემლიძე

მთავარი ბუღალტერი



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

„დენტექსი-95“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 1995 წლის 08 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საიდენტიფიკაციო ნომრით 203826501.

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სტომატოლოგიური პრაქტიკის საქმიანობები. იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, რ. ლალიძის ქუჩა, N8.

კომპანიის 20%-იანი წილის მფლობელია ფ.პ. მერაბი გრძელიძე (პ.ნ. 35001034107); კომპანიის 20%-იანი წილის მფლობელია ფ.პ. დავით სუხიტაშვილი (პ.ნ. 01017017031); კომპანიის 20%-იანი წილის მფლობელია ფ.პ. სოფიო მუჯირი (პ.ნ. 01005004417); კომპანიის 20%-იანი წილის მფლობელია ფ.პ. გიორგი დეკანოსიძე (პ.ნ. 01017009922); კომპანიის 20%-იანი წილის მფლობელია ფ.პ. გიორგი მენაბდე (პ.ნ. 01017011858).

კომპანიის დირექტორია ფ.პ. მერაბი გრძელიძე (პ.ნ. 35001034107). საწესდებო კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 2013 ლარს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

„აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე, რომელიც შესაბამისობაშია მსს ფასს-თან და მოიცავს შესადარის ინფორმაციას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება.“

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულია ამ ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ.

2.1) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, რომელიც შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებულ ნებისმიერ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი,

მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებასა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად.

2.2) მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

2.3) დაბეგვრა

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

2.4) შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

2.5) ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული საქონლის რეალიზაციასთან/მომსახურების გაწევასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოითმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

2.6) სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

2.7) საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

2.8) შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 25 სექტემბერს.

ირინე გამცემლიძე

მთავარი ბუღალტერი

